




“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შეშილაძე


„17--“ 03-----“ 2017 წელი

გვ. N1

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N11/36

2015 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	4
1.არაფინანსური აქტივები	4
2. შემოსავლები.....	6
3.ხარჯები.....	7
4.მაშტაბის შეზღუდვა	8
4.1. სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ის მიხედვით:.....	8
4.2 შემოსავლები.....	9
პირობითი მოსაზრება	9
მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი.....	10
1. აღრიცხვა - ანგარიშგება.....	10
2. უფლებადურეგისტრირებული არასაცხოვრებელი ფართები.	12
3. ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები	12
4. შესყიდვები	13
5. შრომის ანაზღაურება.....	15
6. „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის „პროგრამა	16
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.....	19

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორის პასუხისმგებლობაში შედის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429

ბრძანება. დანართები 1-დან 11-მდე.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. არაფინანსური აქტივები

1.1. გარემოება:

- სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“ მიერ 2015 წლის განმავლობაში „სხვადასახვა კაპიტალური ხარჯის“ მუხლით განხორციელდა 5,931.2 ათასი ლარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო - სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, საიდანაც 261.0 ათასი ლარის ხარჯი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 5 მარტის N02/166 ბრძანების თანახმად, გაწეულია სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე სსიპ-ის სარგებლობაში მყოფი არასაცხოვრებელი შენობების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებაზე, რომლის კაპიტალიზაცია და შესაბამისად აქტივების ღირებულების ზრდა არ მომხდარა².

N	მისამართი	მოსარგებლე	ღირ-ბა
1	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #103/ზ. ჭავჭავაძის ქ. #2	სსიპ „ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახ. თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი“	16 172
2	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის #127ა	სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“	49 892
3	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #19,	სსიპ „საქართველოს შ.რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტი“	94 899
4	ქ. თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. #8	სსიპ „ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრ. სამუსიკო სკოლა“	99 946
სულ			260 909

- სსიპ „საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში“ 2012 წელს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებულია შენობის კაპიტალური შეკეთება, რომლის ღირებულების ამსახველი დოკუმენტაცია აღნიშნულ ფონდზე მიმართვის (წერილი N224 12.12.2014) მიუხედავად მუზეუმს არ გადმოცემია, შესაბამისად იგი არაა კაპიტალიზირებული და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.2. გარემოება:

- სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია“-მ შეიძინა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც აქტივად არ იქნა აღიარებული. აღნიშნული პროგრამის გაუმჯობესებაზე და აკადემიურ მოთხოვნებთან მის შესაბამისობაში მოყვანაზე 2015 წელს სამხატვრო აკადემიამ გასწია 12 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, რომლის კაპიტალიზირება არ მომხდარა, რაც შეუსაბამობაშია "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მოთხოვნასთან³;
- სსიპ ქ. ფოთის ვ. გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ 2008 წელს შეძენილია არამატერიალური აქტივი - „ორის-ბუღალტერია“ ღირებულებით 0.6 ათასი ლარი, რომელიც ბალანსზე აღრიცხული არ არის;

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქცია, მუხლი 34 პუნქტი 10 ქვეპუნქტი „გ“

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანება მუხლი 33, პუნქტი 1.

- სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ 2011 წლიდან ფლობს საბუღალტრო პროგრამა „ორის“, რომელიც არაა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში;

1.3.გარემოება: სსიპ „თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრის“ N2112 საბალანსე ანგარიშზე ირიცხება შენობა-ნაგებობა 242.0 ათასი ლარის ოდენობით. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2012 წელს თეატრის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების გარკვეული ნაწილი, კერძოდ: შენობა-ნაგებობა NN3,7,8 და 10 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 ივლისის N1-1/1508 ბრძანებით სარგებლობაში გადაეცა ქ.თბილისის თვითმმართველ ერთეულს. გადაცემისას არ მომხდარა შენობა-ნაგებობების შეფასება და გადაცემული ქონების ღირებულების დადგენა. 2012 წლის ბოლოს ჩამოიწერა იმ შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელი იყო (NN 7,8), ხოლო გადაცემული NN3 და 10 შენობა-ნაგებობა ღირებულების დაუდგენლობის გამო ვერ იქნა მოხსნილი ბალანსიდან.

1.4.გარემოება: რიგ შემთხვევებში არაფინანსური აქტივები (შენობა, მიწა) არ არის შეფასებული ან/და ასახული კომპონენტების (სსიპ-ების) ფინანსურ ანგარიშგებაში:

N	საჯარო სამართლის იურიდიული პირის დასახელება	აქტივის დასახელება	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)
1	სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.15.04.017.018	7500
2	სსიპ – ქ.თბილისის გ.მიქელაძის სახ. თოჯინების სახ.თეატრი.	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.13.08.009,061	1805
3	სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.13.08.004.032	3996
4	სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.13.08.003.051	2160
5	სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.18.03.016.028	184
6	სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	შენობა-ნაგებობა		28.19.02.690	199
-		მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	34.08.56.082	2324
-		შენობა		34.08.56.082	131
7	სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.13.08.006.063	1503
8	სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქ.თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის "ნიჭიერთა ათწლედი"	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.13.08.010.033	9148
-		მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.15.05.014.009	2540
9	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.15.05.007.010	5532
10	სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.13.08.011.032	820
-		მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	01.13.08.011.033	3134
11	სსიპ ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	53.20.41.028	5670
12	სსიპ ქ. ფოთის ვ. გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	მიწა	არასასოფლო-სამეურნეო	04.02.08.087	5143
ჯამი:					51789

1.5.გარემოება: სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლის საწყისსა და საბოლოო ნაშთებში აღრიცხული აქვს 1,496.5 ათასი

ლარის ღირებულების სამუზეუმო ექსპონატები, რომელთა სრული სახელობითი სიის მიწოდება აუდიტის ჯგუფისთვის სსიპ საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ვერ უზრუნველყო. „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის⁴ 22 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამუზეუმო ექსპონატი არ ექვემდებარება საბუღალტრო აღრიცხვას.

1.6.გარემოება: სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ“ 2015 წლის 3 ნოემბერს შპს „იკორთა 2007“-თან შენობის კონსტრუქციული გამაგრებითი სამუშაოებისთვის განხორციელებული წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსის) თანხით 352.7 ათასი ლარით გაზარდა „შენობა-ნაგებობების“ ანგარიშის სადებეტო ბრუნვა და განახორციელა მისი კაპიტალიზება. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში გაზრდილი ღირებულებით არის წარმოდგენილი „ძირითადი აქტივების“ მუხლი და შემცირებულია „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები“⁴.

1.7.გარემოება: სსიპ „ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა“ ნაცვლად ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული სხვა მატერიალური მარაგების ღირებულების გაზრდისა⁵, მოახდინა დემონტაჟის ხარჯების კაპიტალიზაცია და შენობა-ნაგებობების საბალანსე ღირებულების გაზრდა 113.1 ათასი ლარით. თეატრს 2015 წელს ბალანსიდან არ აქვს ჩამოწერილი⁶ 2,014.6 ათასი ლარის საბალანსე ღირებულების ძირითადი საშუალებები, რომელსაც გაუკეთდა დემონტაჟი, შესაბამისად შემცირებული ღირებულებით არის წარმოდგენილი არასაოპერაციო ხარჯები⁷. პასუხიმგებელი პირების განმარტებით არ მომხდარა ძირითადი აქტივების დაშლის შედეგად მიღებული სხვა მატერიალური მარაგების შეფასება და მისი ბალანსზე აღრიცხვა.

1.8.გარემოება: სსიპ „ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებელს“ „არაფინანსური აქტივების“ საბალანსო მუხლის მიხედვით ერიცხება საცხოვრებელი ბინა, რომლის ნარჩენი საბალანსო ღირებულება წლის ბოლოსთვის შეადგენდა 12.6 ათასი ლარს. მისი ბალანსზე აყვანის სამართლებრივი საფუძველი წარმოდგენილი ვერ იქნა. საჯარო რეესტრის მონაცემის თანახმად, ფართი არაა სასწავლებელზე დარეგისტრირებული და არც ფაქტობრივი მისამართია დაზუსტებული. სასწავლებელი მისი ფლობიდან არ ღებულობს რაიმე სარგებელს და აქედან გამომდინარე ის არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს⁸.

გავლენა: კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთი 3,971.0 ათასი ლარით არის გაზრდილი.

2. შემოსავლები

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც დაყოფილია ეტაპებად „Call off“-ებად. თითოეული ეტაპის ფარგლებში ხდება ეროვნული მუზეუმის მიერ დამკვეთისათვის ინვოისების წარდგენა შესასრულებელი

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 26, პუნქტი 26.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 34, პუნქტი 9.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 33, პუნქტი 2.

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 33, პუნქტი 19.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 3, პუნქტი 2, „ლ“-ქვეპუნქტი

ან უკვე შესრულებული სამუშაოებისთვის თანხის მიღების მიზნით და ბოლოს ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი მთლიანი ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებაზე. მუზეუმის მიერ შემოსავლის აღიარება ხდება თითოეულ ეტაპზე შედგენილი მიღება-ჩაბარების თარიღის მიხედვით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის⁹ მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც „მომსახურებიდან შემოსავლები აისახება მომსახურების გაწევისას“.

2015 წლის განმავლობაში მე-20 და 21-ე ეტაპის ფარგლებში მუზეუმმა შეასრულა 619.8 ათასი ლარის სამუშაოები, რომლის ანაზღაურების მიზნით დამკვეთისთვის გაგზავნილი ჰქონდა 16 ინვოისი, აქედან 2015 წელს სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას ანაზღაურებული აქვს 377.2 ათასი ლარი, რომელიც ორგანიზაციამ საანგარიშგებო პერიოდში აღიარა როგორც კრედიტორული დავალიანება, ვინაიდან საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალი არ იქნა აღიარებული. 242.6 ათასი ლარით შემცირებული ღირებულებით არის წარმოდგენილი „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლიც (საბოლოო მიღება ჩაბარების აქტი ორივე ეტაპის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შესახებ გაფორმდა 2016 წელს).

გავლენა: „კრედიტორული დავალიანების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 377.2 ათასი ლარით, „გაუნაწილებელი მოგების“ და „მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშების საბოლოო ნაშთები შემცირებულია 619.8 და 242.6 ათასი ლარით.

3. ხარჯები

3.1. გარემოება: ცვეთის ხარჯის გაანგარიშებისას დაშვებულია რიგი უზუსტობები:

სსიპ-ის დასახელება	უზუსტობის შედეგი	
	ზრდა	შემცირება
სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი		184 113
სსიპ ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო სასწავლებელი		1 100
სსიპ პ. ადამიანის სახ. სომხური თეატრი	81	
სსიპ ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახ. თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი		2 680
სსიპ „თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი“	9 893	3 028
სსიპ ქ. ფოთის ვ. გუნიაშვილის სახ. თეატრი		2 666
სსიპ სახელმწიფო თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმი		868
სულ	9 974	194 455

3.2. გარემოება: სსიპ „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას“ საკუთარი სახსრებით შტატით მომუშავეთა დანამატი 15.0 377.2 ათასი ლარის ოდენობით, ხარჯებში ასახული აქვს როგორც შტატგარეშე მომუშავეთა დანამატი.

გავლენა: წმინდა ღირებულება გაზრდილია 184.5 ათასი ლარით.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 38, პუნქტი 16. 17

4.მაშტაბის შეზღუდვა

4.1. სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტი“-ის მიხედვით:

- საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამის მონაცემები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგების მონაცემებს:

ფორმა N1		ანგარიშგება		საბუღალტრო პროგრამა		სხვაობა	
დასახელება	ანგარიში	31-12-2015	31-12-2014	31-12-2015	31-12-2014	31-12-2015	31-12-2014
აქტივები							
მოკლევადიანი აქტივები							
ფულადი სახსრები	1100-1200	23,700	63 116	23 701	63 116	(1)	0
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	9 835	3 084	-	-	9 835	3 084
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	160 444	38 217	234 792	167 974	(74 348)	(129 757)
სხვა მატერიალური მარაგები	1620	261 667	259 606	52 448	44 939	209 219	214 667
სულ მოკლევადიანი აქტივები		455 646	364 023	310 941	276 029	144 705	87 994
გრძელვადიანი აქტივები							
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	460 330	460 330	460 330	460 330	-	-
ძირითადი აქტივები	2100	1 997 687	1 982 028	998 605	863 242	999 082	1 118 786
ფასეულობები	2300	-	-	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	2400	871 321	871 321	871 321	871 321	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 329 338	3 313 679	2 330 256	2 194 893	999 082	1 118 786
ბალანსი		3 784 984	3 677 702	2 641 197	2 470 922	1 143 787	1 206 780
ვალდებულებები							
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	6 812	53 202	3 103	45 594	3 709	7 608
სულ ვალდებულებები		6 812	53 202	3 103	45 594	3 709	7 608
კაპიტალი							
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	3 495 796	3 324 113	5 511 242	3 135 747	(2 015 446)	188 366
გაუნაწილებელი მოგება	5220	282 376	300 387	112 890	112 890	169 486	187 497
დაუფარავი ზარალი	5230	-	-	3 046 451	883 721	(3 046 451)	(883 721)
სულ კაპიტალი		3 778 172	3 624 500	2 577 681	2 364 915	1 200 491	1 259 585
ბალანსი		3 784 984	3 677 702	2 580 784	2 410 509	1 204 200	1 267 193
		-	-	(60 412)	(60 412)	60 412	60 412

აუდიტის ობიექტის განმარტებით აღნიშნული სხვაობები გამოწვეულია 1982-2005 წლებში შეძენილი აქტივებისა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაცემული შენობების აღურიცხაობით „ორისის“ საბუღალტრო პროგრამაში.

- ძირითადი საშუალებების რეესტრის მონაცემები არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებისა და საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ მონაცემებს:

		ანგარიშგება		ორისის ბაზა		რეესტრის მონაცემები	
დასახელება	ანგარიში	31-12-2015	31-12-2014	31-12-2015	31-12-2015	31-12-2014	31-12-2015
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	460 330	460 330	460 330	460 330	-	-
ძირითადი აქტივები	2100	1 997 687	1 982 028	998 605	863 242	1 629 088	1 631 691
არაწარმოებული აქტივები	2400	871 321	871 321	871 321	871 321	871 321	871 321

- არ არის განხორციელებული არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია;
- უნივერსიტეტმა ვერ წარმოგვიდგინა შპს "აუდიტომპანიასთან" 7,000 ლარის დებიტორულ დავალიანებაზე შედარების აქტი;
- ბუღალტრული პროგრამა „ორისის“ მიხედვით საწყისი და საბოლოო საბალანსე ნაშთები არ ბალანსდება, შედეგად სხვაობა შეადგენს 60.4 ათას ლარს. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა

მოწოდებული შესაბამისი განმარტება აღნიშნული უზუსტობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივიღეთ გონივრული რწმუნება სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საბალანსე ნაშთების სისრულის და სიზუსტის თაობაზე.

4.2 შემოსავლები

სსიპ „თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას“ 2015 სანგარიშგებო წელს საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის“ მუხლში აღრიცხული აქვს საკასო მეთოდით სულ 3,200.2 ათასი ლარის ღირებულებით, რაც შეუსაბამოა შიპა "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მოთხოვნებთან¹⁰. შესაბამისად, სამხატვრო აკადემიას ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში არ აქვს დაფიქსირებული სტუდენტების მიმართ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

სამხატვრო აკადემიამ ვერ წარმოგვიდგინა საკმარისი და შესაფერისი სააღრიცხვო ჩანაწერები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა აღნიშნული არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის ფინანსური ანგარიშგებაზე გავლენის დადგენა, შესაბამისად ჩვენ ვერ ვადასტურებთ თუ რა ოდენობის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები უნდა ასახულიყო ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში სტუდენტების მიმართ და რა რაოდენობის ფაქტიური შემოსავალი მიიღო უნივერსიტეტმა 2015 წელს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №429 ბრძანებით დამტკიცებული "საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 37, პუნქტი 1.

მნიშვნელოვან გარემოებათა აზიზი

1. აღრიცხვა - ანგარიშება

1.1. მოთხოვნა-ვალდებულებები

- სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის“ ბალანსის საცნობარო მუხლში ასახულია გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება 336.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული დავალიანების ბალანსიდან ჩამოწერის საფუძველი ვერ იქნა წარმოდგენილი, ასევე ვერ ხდება მისი იდენტიფიცირება;
- წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ბალანსზე რიცხული 331.2 ათასი ლარის დებიტორული და 391.2 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანების წარმოშობა.

კომპონენტი (სსიპ)	მოთხოვნის ანგარიში	თანხა	ვალდებულების ანგარიში	თანხა
სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	-	-	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	6 809
-	-	-	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	20 091
-	-	-	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	54 320
სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	5 159		
-	-	-		
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	27 214	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	157 203
-	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1 840	საქონლისა და მომსახურების მოწოდებაზე დარიცხული ვალდებულება-	21 626
	სხვა საგადასახადო აქტივი	30 885		
სსიპ რუსთაველის სა. აკადემიური სახ. თეატრი	მოთხოვნა ფიზიკურ პირებზე	850	გაუცემელი ხელფასები	66 290
	მოთხოვნა კულტურის სამინისტროს მიმართ	11 000		
სსიპ – ილიკო სუბიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური	-	-	მომსახურების მოწოდებით დარიცხული	53 304

კომპონენტი (სსიპ)	მოთხოვნის ანგარიში	თანხა	ვალდებულების ანგარიში	თანხა
ბაღეცის სახელმწიფო აკადემიური დასი ¹¹			ვალდებულებები	
სსიპ ქ.თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბაღეცის პროფესიული სახელმწიფო თეატრი ¹²	გადახდილი დღგ	250 286	-	-
	საგადასახადო აქტივი	3 948		
სსიპ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი			შტატით მომუშავეთა სახელფასო დავალიანება.	11 565
სულ		331 182		391 208

- სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით (აპარატი, სსიპ-ები), „საქონელი და მომსახურების მუხლში“, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ერიცხება 5,484.9 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, საიდანაც შედარების აქტები, წარმოდგენილია მხოლოდ 1,427.4 ათას ლარზე (26%-ი). იმავე მუხლით ირიცხება 1,432.3 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება, საიდანაც შედარების აქტები წარმოდგენილია მხოლოდ 122.2 ათას ლარზე (9%-ი).
- ზოგიერთ სსიპ-ს წლების განმავლობაში უცვლელი ოდენობით ერიცხებათ მოთხოვნა-ვალდებულებები, რომლებზეც არაა შედგენილი შედარების აქტები:

კომპონენტი (სსიპ)	მოთხოვნის ანგარიში	თანხა	ვალდებულების ანგარიში	თანხა
სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	მოთხოვნები აქტივებისა და მომსახურების მოწოდებაზე -	29 444		
-	მოთხოვნები დანაკლისებით-	8 779		
სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი	მოთხოვნები აქტივებისა და მომსახურების მოწოდებაზე	100		
სსიპ პ.ადამიანის სახ. სომხური თეატრი-	მოთხოვნა აქტივებისა და მომსახურების მიწოდებიდან-	5 000		
სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	მოთხოვნები დანაკლისებით	16 675		
სსიპ სახელმწიფო ეროვნულ მუსიკალური ცენტრი	მოთხოვნა აქტივებისა და მომსახურების მიწოდებიდან-	104 503		
სსიპ – ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბაღეცის სახელმწიფო აკადემიური დასი	მოთხოვნები საქონლის, მომსახურებისა და აქტივების მირებაზე-	10 604	წინასწარ მიღებული ანაზღაურება	30 458
სულ		175 105		30 458

¹¹ აღნიშნულ დავალიანებაზე კრედიტორი იდენტიფიცირებადია, თუმცა აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიძია კრედიტორული დავალიანების წარმოშობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

¹² აღნიშნულზე აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიძია შედარების აქტი შემოსავლების სამსახურთან, შესაბამისად ნაშთების სიზუსტეს ვერ ვადასტურებთ

2. უფლებადურეგისტრირებული არასაცხოვრებელი ფართები.

არის შემთხვევები, როდესაც უძრავი ქონების იჯარის უფლება, საქართველოს კანონით „საჯარო რეესტრის“ შესახებ მეორე თავის მე-11 მუხლის მოთხოვნის მიხედვით არაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სსიპ „პ.ადამიანის სახ. სახელმწიფო თეატრი“ 160 კვმ

სსიპ „მწერლის სახლი“153კვმ

სსიპ „სახელმწიფო ეროვნულ მუსიკალური ცენტრი“.....253კვმ

სსიპ „ვ. აბაშიძის სახ. მუსიკისა და დრამის სახ.თეატრი“.....680კვმ

3. ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები

დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილებამ პროგრამულ კოდებს შორის ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების (69) ცნობების მიხედვით სულ შეადგინა 4,316.3 ათასი ლარი, რაც სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნების 4.5%-ია, რაც შესაბამისობაშია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნასთან. ქვეპროგრამებს შორის განხორციელებულმა ცვლილებამ (229) – 9,135.6 ათასი ლარი შეადგინა. სულ ჯამში განხორციელდა 298 ცვლილება, 13,451.9 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წლის განმავლობაში ერთი და იგივე პროგრამებიდან ასიგნებების გადანაწილება ხდებოდა სხვადასხვა პროექტებისა თუ ღონისძიებების დასაფინანსებლად, ხოლო ამავე პროგრამებში ასიგნების შევსება ხდებოდა სხვადასხვა პროგრამებიდან გადმოტანილი თანხებით, კერძოდ:

„ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ კოდიდან (33 02 01 33). გადანაწილებულია 1,961.0 ათასი, ხოლო მიღებულია 2,399.2 ათასი ლარი:

- 320.8 ათასი ლარი მიიმართა სსიპ „მწერალთა სახლის“ (კოდი 33 02 01 27) მიერ ორგანიზებული სხვადასხვა პროექტების (ჟურნალებისა და ალბომების გამოცემა, ფესტივალებისა და კვირეულების გამართვა) დაფინანსებისთვის;
- 300.8 ათასი ლარი - სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ (კოდი 33 02 01 13) მიერ სხვადასხვა პროექტების დაფინანსებისთვის;
- 252.9 ათასი ლარი - სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრზე“ (კოდი 33 02 01 11), სადაც 217.0 ათასი ლარი მიმართული იყო ქ. ბერლინში საორკესტრო ფესტივალის „Yoinf Euro Clasic“ საზეიმო დახურვაზე მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებისთვის და სხვა.

მიღებული თანხის უმეტესი ნაწილი დამატებულია სხვადასხვა პროგრამული კოდებიდან, კერძოდ:

- „კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების და კაპიტალური დანახარჯების პროგრამის“ (კოდი 33 02 05) პროგრამული კოდიდან მიმართულია 557.4 ათასი ლარი;
- „კულტურის განვითარების საინვესტიციო ფონდიდან“ (კოდი 33 02 04) - 534.7 ათასი ლარი;
- სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (კოდი 33 02 03) პროგრამული კოდიდან - 512.0 ათასი ლარი;

დამტკიცებულ საბიუჯეტო ასიგნებებში განხორციელებულია ისეთი სახის ცვლილებები, როდესაც კონკრეტულ პროგრამულ კოდში გადანაწილებულია გარკვეული სახსრები, ხოლო იგივე კოდიდან თანხები გადატანილია სხვა კოდების სასარგებლოდ. ასე მაგალითად: 2015 წლის 24 აგვისტოს N1190

ცნობით (24.08.2015; 17.08.2015) „კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების და კაპიტალური დანახარჯების პროგრამის“ (33 02 05) კოდიდან 500.0 ათასი ლარი მიიმართა სსიპ „საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (კოდი 33 03 02) შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების მიზნით, მაშინ როცა 2015 წლის 28 დეკემბრის N1887 ცნობით (28.12.2015; 25.12.2015) ამავე კოდიდან 512.0 ათასი ლარი მიიმართა „ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ (33 02 01 33) სასარგებლოდ, ქართველი რეჟისორების ფილმების, ზაზა ურუშაძის „პარაბელუმის“ და გიორგი ოვაშვილის „ხიბულას“ ხელშეწყობის მიზნით.

4. შესყიდვები

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წლის შესყიდვების წლიური გეგმა წლის განმავლობაში დაკორექტირდა 34-ჯერ და საბოლოოდ 54%-ით გაიზარდა (563.3 ათასი ლარი) საწყის გეგმასთან შედარებით, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ სამინისტროში პროექტების დაფინანსების არსებული წესის სპეციფიკის გათვალისწინებით შესყიდვების გეგმაში წინასწარ შეუძლებელია აღნიშნული თანხების გათვალისწინება.

ტენდერები	რაოდენობა
გამოცხადებული	90
წარმატებით დასრულებული	57
არშემდგარი	31
უარყოფითი შედეგით დასრულებული	2
შეწყვეტილი	0

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აპარატის მიერ 2015 წლის განმავლობაში გაფორმებული შესყიდვების 420 ხელშეკრულებიდან 354 შედგენილია გამარტივებული ფორმით. აღნიშნული შესყიდვები ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულების (607.8 ათასი ლარი) 44%-ს შეადგენს.

ხელშეკრულებები	420	1 367 874
ტენდერის საფუძველზე	57	559 589
კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე	9	200 535
გამარტივებული წესით	354	607 750

4.1. ტენდერში პოტენციურ მონაწილე პრეტენდენტთა შეზღუდვის რისკი

სსიპ ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრს 2015 წლის 17 ნოემბერს გამოცხადებული აქვს ტენდერი (SPA150030606) თეატრის წინ დაუმთავრებელი მინაშენის ლითონის კონსტრუქციების სადემონტაჟო სამუშაოებზე-CPV კოდით 451, სავარაუდო ღირებულებით 121.0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის 2.5.1 პუნქტის მიხედვით პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ინფორმაცია ბოლო ორი წლის მანძილზე განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა არანაკლებ 500.0 ათას (ხუთასი ათასი) ლარს.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიების მხრიდან გამოხატულ იქნა ინტერესი აღნიშნულ ტენდერთან მიმართებაში (4 კომპანიას დასმული აქვს კითხვები რომელსაც თეატრმა არ უპასუხა¹³) ტენდერი არ შედგა. კითხვები ეხებოდა შემდეგს:

- შესაძლებელი იყო თუ არა გამოცდილებაში ჩათვლილიყო მშენებლობა-რემონტის სამუშაოები?
- ანალოგიურში თუ ჩაითვლებოდა სამშენებლო სარემონტო სამუშაოები 1,200.0 ათასი ლარის, აგრეთვე სადემონტაჟო სამუშაოები 66.0 ათასი ლარის ღირებულების?

2015 წლის 24 ნოემბერს თეატრმა განმეორებით გამოაცხადა ტენდერი (**SPA150031203**) იგივე პირობებით. ამჯერად ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთადერთმა კომპანიამ შპს „ბილდინგ“-მა, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 118.8 ათასი ლარი. შპს „ბილდინგ“-ს წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია მის მიერ 2013-2015 წლებში განხორციელებულ შენობის დასრულების სამუშაოებზე, CPV კოდით 454.

აღნიშნულმა გარემოებებმა გაზარდა სატენდერო პროცედურებში პოტენციური მიმწოდებლების მონაწილეობის შეზღუდვის რისკი.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დადასტურება არაკრედიტებული პირის მიერ

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერების მიხედვით, სატენდერო დოკუმენტაციით და შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით ანგარიშსწორების განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა **აკრედიტებული პირის მიერ** გაცემული დასკვნა, შესრულებულ სამუშაოზე/მომსახურებაზე. არის შემთხვევები, როდესაც ანგარიშსწორება განხორციელებულია არაკრედიტებული პირების მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე.

შემსყიდველი	ტენდერის N	მიმწოდებელი	სახელშ. თანხა	დასკვნის გამცემი პირი	სამუშაოს/მომსახურების მოცულობა
სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	SPA150025186	შპს „იკორთა 2007“	2 500 000	შპს „მშენ ექსპერტი“ ¹⁴	598 818
სსიპ მწერალთა სახლი	SPA150029650	შპს „აპექსი“ ¹⁵	135 735	შპს „ინტელექტ აუდიტი“ ¹⁶	135 735

¹³ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №9 მუხლი 6 პუნქტი 1 - ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში წინადადებების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

¹⁴ არაკრედიტებული იყო იმ კონკრეტული პერიოდისთვის

¹⁵ სატენდერო დოკუმენტაციის 2.6.1. პუნქტის მიხედვით მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა ძირითადი მასალის შესახებ ინფორმაცია, მწარმოებელი ქვეყანა, მარკა და მოდელის მითითებით. მიუხედავად ამისა შპს „აპექსი“ აღნიშნული ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

შემსყიდველი	ტენდერის N	მიმწოდებელი	სახელშ. თანხა	დასკვნის გამცემი პირი	სამუშაოს/მოსახურების მოცულობა
სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმი	SPA150017125	შპს „თურსი“	162 111	შპს „სამემფასებლო კომპანია ACD“	161 395
სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმი	SPA150029870	ი/მ ავთანდილ მამაცაშვილი	55 000	ააიპ „დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირი“	55 000

4.3. სახელმეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობა

არის შემთხვევები, როდესაც მიმწოდებლებმა სამუშაოები დაასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, რის გამოც ისინი ექვემდებარებოდნენ დაჯარიმებას, თუმცა შემსყიდველს მათ მიმართ საჯარიმო სანქციები არ დაუკისრებია.

შემსყიდველი	მიმწოდებელი	ტენდერის N	ჯარიმის თანხა
სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	შპს „ჭიათურმშენი“	SPA150028590	1 100
სსიპ მწერალთა სახლი	შპს „არტიფექსი“	SPA150013080	2 145
სსიპ მწერალთა სახლი	შპს „ბადო“	SPA150023942	3 072

5. შრომის ანაზღაურება

სამინისტროს „შრომის ანაზღაურების“ ხარჯმა 2015 წლის განმავლობაში სულ 71,800.7 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით გაწეულმა ხარჯმა 57,559.9 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯის (80%), საკუთარი სახსრებით გაწეულმა ხარჯმა კი 14,240.8 ათასი ლარი - მთლიანი ხარჯის (20%), აქედან შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულია 64,523.1 ათასი ლარის ხარჯი - მთლიანი ხარჯის (90%), მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 5 834.3 ათასი ლარი (90,4%), პრემია - 2 258.6 ათასი ლარი (3,5%), დანამატი - 3,260.8 ათასი ლარი (5%), ჰონორარი - 658.3 ათასი ლარი (1%), კომპენსაცია - 2,600 ლარი (0,04%). შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულმა ხარჯმა 7,277.6 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯის (10%) შეადგინა, მათ შორის: თანამდებობრივმა სარგომ - 6,342.9 ათასი ლარი (87,2%), პრემიამ - 475.1 ათასი ლარი (6,5%), დანამატმა - 220.7 ათასი ლარი (3%), ჰონორარმა კი - 238.9 ათასი ლარი (3,3%).

- რიგ შემთხვევებში სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთეულების მიერ (სამინისტროს აპარატისგან განსხვავებით), ვერ იქნა წარმოდგენილი არასამუშაო/ ზეგანაკვეთური საათების შესრულების დოკუმენტური (ტაბელი ან აღრიცხვის ჟურნალი) ანდა ელექტრონული ფორმით შექმნილი მტკიცებულება. ამასთან განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით ვერ

¹⁶ დასკვნის სათაური-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე შესრულებული სამუშაოების აქტების ერთეულ ღირებულებათა შესაბამისობის დადგენა, ფაქტობრივი ხარჯებისა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოთა ერთეულ ღირებულებასთან

იქნა მოპოვებული მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა ცალკეულ შემთხვევებში ადმინისტრაციული პერსონალის მიერ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის ან/და სამსახურებრივი ფუნქციების მოსალოდნელზე უკეთ შესრულების კონკრეტულ ფაქტს;

- შტატგარეშე მომუშავეთა დანიშვნის ბრძანებების უმეტესობაში არ არის მითითებული შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა;
- წლის განმავლობაში თანამშრომლებზე დანამატები გაცემულია წლის დასაწყისში სახელფასო დანამატის დაწესების შესახებ ბრძანებების საფუძველზე. მაგალითად, სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს“¹⁷ მაღალი და საშუალო დონის მენეჯმენტის 72 ერთეულს, 289 საშტატო ერთეულიდან (განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით), ხოლო სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“¹⁸, სსიპ „თბილისის მარიონეტების პროფესიული თეატრის“¹⁹, სსიპ „მწერალთა სახლის“²⁰ რიგ თანამშრომლებს წლის დასაწყისში დაუწესდათ ყოველთვიური სახელფასო დანამატის ოდენობები.

6. „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის „პროგრამა“

საქართველოს კანონით „2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ „საერთაშორისო კულტურული ურთიერთობებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის პროგრამის“ (კოდი 33 02 02) ამოცანას წარმოადგენს ქართველ შემოქმედთა პროფესიონალური განვითარება, ქვეყნის პოპულარიზაცია და იმიჯის ჩამოყალიბება საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორებია: განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიის, საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებებზე დამსწრეთა, რეალიზებული ბილეთების, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები. პროგრამის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 6,998.7 ათასი ლარი, ხოლო ქვეპროგრამის „საერთაშორისო ფესტივალების ხელშეწყობა“ (33 02 02 02) ფარგლებში გაწეულმა ფაქტიურმა ხარჯმა 3,287.5 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 10 მუსიკალური, 5 თეატრალური, 8 კინო და 3 ფოტო ფესტივალი. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია პროექტების შედარებით მყარი, სტაბილური წრე ე.წ. „ტრადიციული პროექტები“, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში მხარდაჭერილია სამინისტროს მხრიდან მათი სოციალურ-კულტურული მნიშვნელობიდან და საერთაშორისო ცნობადობიდან გამომდინარე. ასევე არსებობს ახალი, „თავისუფალი პროექტები“ რომელთა ინიცირება და მხარდაჭერა ხდება სამინისტროს მიერ ყოველ კონკრეტულ წელს.

ე.წ. „ტრადიციული პროექტების“ მიხედვით, კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი კომისიის (შემდგომში კომისია) მიერ ყოველწლიურად ფასდება მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების მოცულობა. „საერთაშორისო ფესტივალების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ძირითადად დაფინანსებულია ტრადიციული პროექტები (საერთაშორისო „ჯაზფესტივალები“, „დამის სერენადები“, კამერული მუსიკის ფესტივალი, საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ და სხვა). აღნიშნული პროექტები ყოველწლიურად თითქმის უცვლელი მოცულობით არის დაფინანსებული. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, შოუ-ბიზნესის კულტურული პროექტების დაფინანსების მოდელებში სჭარბობს ისეთი მოდელი, როდესაც

¹⁷ სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს 2015 წლის 20 თებერვალის N1/44 ბრძანება

¹⁸ სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2014 წლის 31 დეკემბრის N507/კ და N508/კ, 2015 წლის 30 იანვრის N24/კ და პირველი ივნისის N226/კ ბრძანებები

¹⁹ სსიპ თბილისის მარიონეტების პროფესიული თეატრის 2015 წლის 4 იანვრის N4 ბრ

²⁰ სსიპ მწერალთა სახლის 2014 წლის 29 დეკემბრის N2/16, 2015 წლის 30 ივნისის N2/19 ბრძანებები

სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის მოცულობა დამოკიდებულია იმ ფაქტზე, თუ პროექტი მისი სასიცოცხლო ციკლის რომელ ეტაპზე იმყოფება. თავდაპირველ ეტაპზე სახელმწიფოს მხარდაჭერის მოცულობა, პროექტის დაფინანსების სხვა წყაროების მიმართ, როგორც აბსოლიტურად, ისე შეფარდებით მაღალია. სასიცოცხლო ციკლის შემდგომ ეტაპზე ეს მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება. მრავალ ქვეყანაში კულტურის ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის მიზანს წარმოადგენს არა მარტო მათი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, არამედ საბაზრო პირობებისადმი მათი ადაპტაციის ხელშეწყობა, ეს განსაკუთრებით ეხება ისეთი კულტურის ორგანიზაციებს და პროექტებს, რომლებიც მოღვაწეობენ შოუ-ბიზნესის სფეროში და ხასიათდებიან კომერციალიზაციის მაღალი რესურსით.

სუსტია პროცესში ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების კონტროლის მექანიზმები. “შავი ზღვის” და “თბილისის ჯაზფესტივალების” ორგანიზატორი კომპანიის შპს „ისტერნ პრომოუშენის“ განაცხადი დაკმაყოფილდა და კომისიამ 2015 წლის 16 თებერვლის და 31 მარტის სხდომაზე მხარი დაუჭირა მოცემული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. აღნიშნულ სხდომებს თავმჯდომარეობდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მინისტრის პირველი მოადგილე კახი კანდელაკი, რომელიც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის წარმოადგენს „თანამდებობის პირს“, რომლის ახლო ნათესავი - მამა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მომენტში შპს „ისტერნ პრომოუშენსში“ ფლობდა 10%-იან წილს. მოცემულ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობა ზღუდავს თანამდებობის პირის მოქმედებას კერძოდ, „პირი, რომლის მოვალეობაა კოლეგიალურ ორგანოს შემადგენლობაში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომლის მიმართაც მას ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესი აქვს, ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს ამ ორგანოს სხვა წევრებს ან თავის უშუალო ხელმძღვანელს. ამასთან უარი განაცხადოს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე“.²¹ ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია. თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.²² მოცემულ შემთხვევაში კახა კანდელაკს თვითაცილების შესახებ განცხადება არ გაუკეთებია.

შესამოწმებელ პერიოდში გაუმჯობესდა სამინისტროს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის მიზნობრივ ხარჯვაზე და შეთანხმებულ პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მექანიზმი. მიუხედავად აღნიშნულისა ჯერ კიდევ არსებობს ამ კუთხით გარკვეული სახის ხარვეზი, კერძოდ: კულტურის ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრება ფინანსური მხარდაჭერის მიზნობრიობა და კონკრეტულად ხარჯის ის მუხლი, რომლის დაფინანსებაც ხორციელდება. ხელშეკრულებით შეთანხმებულია პირობა, რომლის მიხედვით „თუ დაფინანსებული მუხლის მიხედვით შემსრულებელი (კულტურის ორგანიზაცია) პარალელურად მიიღებს დაფინანსებას მესამე პირისგან, შემსრულებელი ვალდებულია მესამე პირთან დაფინანსების მიღების შესახებ დადებული შეთანხმებიდან 2 საბანკო დღის განმავლობაში დაუბრუნოს დამკვეთს მის მიერ შემსრულებლისათვის გადახდილი თანხა მესამე პირისგან მიღებული დაფინანსების პროპორციულად.“ არ არსებობს სამინისტროს მხრიდან მოცემული პირობის შესრულებაზე კონტროლის რეალური მექანიზმი.

²¹ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

²² საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 92-ე მუხლი პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილი.

აუდიტორთა ხელმოწერა:

წამყვანი აუდიტორი		ელგუჯა ბეროშვილი
აუდიტორი	ნ. ბუხნიკაშვილი	ნინო ბუხნიკაშვილი
აუდიტორი	ნ. კუბლაშვილი	ნინო კუბლაშვილი
აუდიტორი	ზ. ზუმბაძე	ზურაბ ზუმბაძე
აუდიტორი	დავით ქურციკიძე	დავით ქურციკიძე
აუდიტორ ასისტენტი	მ. ჭოწონავა	მკა ჭოწონავა
აუდიტორ ასისტენტი	ზ. ჯაფარიძე	ზურაბ ჯაფარიძე
აუდიტორ ასისტენტი	გიორგი გოგოლიძე	გიორგი გოგოლიძე
აუდიტორ ასისტენტი	ნ. ფიფია	ნანა ფიფია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფორმა N1

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2014 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1100 - 1200	3,275,615	1,731,361
